როდემდე გაგრძელდება ასე?

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 13 სექტემბერი.

“დინამო” (მინსკი) _ “დინამო” (თბილისი) _ 1:1 (0:1).

მინსკი: სკოკოვი, კუზნეცოვი (ტოლეიკო), გრებნევი, გირკო, სემიონოვი, ვორონინი, კუჩნევი, ვოლოხი (ფოკინი), ვასილიევი, პრიბილოვი, სახაროვი.

თბილისი: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მაჩაიძე, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში კოკისპირული წვიმა არ შეჩერებულა, რამაც მნიშვნელოვნად გააძნელა თამაში. მიუხედავად ამისა, სტუმრები მეთოდურად, დიდხანს უტევდნენ მასპინძელთა კარს. და აი, ?? წუთზე მეტრეველის ოსტატურად აგდებული ბურთი გ. ნოდიამ ლამაზი გოლით დააგვირგვინა _ 1:0. ეს გოლი გ. ნოდიასთვის მეთერთმეტეა მიმდინარე ჩემპიონატში.

მინსკელები მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდნენ, მათი კონტრშეტევები სულ უფრო სახიფათო ხდებოდა, მაგრამ სტეფანიამ რამდენიმე ძალზე ძნელი ბურთი აიღო და მასპინძლებს გოლის გაქვითვის საშუალება არ მისცა.

საპასუხო ბურთი მაინც იქნა გატანილი, რაშიც, პირველ ყოვლისა, თვით თბილისელები არიან დამნაშავე: შესვენების შემდეგ მათ ფაქტიურად დათმეს პოზიციები. ერთადერთი, ვინც თამაშის აწყობას ცდილობდა, მეტრეველი იყო, მაგრამ მას არავინ აუბა მხარი.

და აი, როცა თამაშის დამთავრებას 13 წუთი აკლდა, მინსკელთა მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო: ვასილიევმა გაქვითა გოლი და ქულაც გადაარჩინა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, წლევანდელ სეზონში თბილისელებმა სტუმრად საკავშირო პირველობის ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს. როდემდე გაგრძელდება ასე?

მ. სუხარევიჩი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 15 სექტემბერი, 1970 წ.